ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2436 პარასკევი, 12 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2436

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთის“

გამგეობა აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას: რადგან დამფასებელ კომისიის ანგარიშით უკვე გამოირკვა, რომ საზოგადოების წევრებს 1903 წელს ღვინის კარგი მოსავალი ჰქონდათ, საზოგადოება 15 მარტიდან დაამზადებს გასასყიდად მხოლოდ ქალაქ ტფილისის მომხმარებელთათვის ღვინოს **ბოთლს 20 კაპეიკად.**

ყველა ნომერზე საპრეისკურანტო **ფასები დაკლებულ იქნა**. ნამდვილი ფასი აღნიშნული იქნება ეტიკეტებზე და ამ ფასით დაეთმობა ღვინო პირდაპირ მომხმარებელთ.

მთავარი საწყობი და მაღაზია საზოგადოებისა—ერევნის მოედანი, ქარვასლა თამამშევისა; განყოფილება—მიხეილის პრ., სახლი სლივიცკისა. საზოგადოების ღვინო იყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო საბაკალეიო მაღაზიაში. (3—1)

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
პარასკევს, 12 მარტს, **წარმოდგენილი იქნება**
ფაუსტი
ოპერა 5 მოქმ. გუნოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ბობროვა-პფეიფერ, სტეფანოვიჩი, ლელინა; ბ-ნნი: კორჟევინი, ბრაგინი, თულაევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები აწეულია. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 13 მარტს—„სამსონ და დალილა“; 14 მარტს ბენეფისი დავიდოვისა—„პაიაცი“ და „ჰამლეტი“ მე-2 და 5 მოქმედებები.

ძმ. ნიკიტინების ცირკში

პარასკევს, 12 მარტს, გაიმართება საინტერესო კავკასიური

ჭიდაობა

ცნობილ კავკასიელ მოჭიდავეთა **ცერაძესა** და **ჯიბგირს** შორის. ვინც გაიმარჯვებს, 25 მან. ჯილდო მიეცემა. ჭიდაობა მოხდება მეორე მოქმედების შემდეგ. დასასრულ ბალეტი-პანტომიმა. დაწვრილებით იხილე აფიშებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (1—1)

ლალატი

თავ. ალ. სუმბათაშვილის დრამა ლეგენდა, გრ. ყიფშიძის თარგმანი წარმოდგენილი იქნება **შაბათს, 13 მარტს** **ქართულს თეატრში** ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **დაკლებულის ფასებით.** პარტერი 40 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ლოჟები 4 მ.-დან 7 მ.-მე გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე. (ნ. 3—2)

კავკ. საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება

პარასკევს, 12 მარტს, „საარტისტო საზოგადოების“ სათეატრო დარბაზში ექიმი ფ. ი. **ბლიუმენტალი წაიკითხავს** მეორე და უკანასკნელ ლექციას ამ სათაურით: „ზღვის სანაპირო სანატორიები, საზაფხულო ახალშენები და ამბულატორიები ქლექიანებისათვის“. ლექტორი აჩვენებს მრავალ სურათებს. (ვთხოვთ დამსწრეთ თან იქონიონ დურბინდები).

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ფასები ისეთია, როგორიც დილის წარმოდგენებზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (2—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქალი მ. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლიანტიპ არმაკლიძისა.

ექიმი
ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (3ი—6.—5)

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი

ტოკიო („რეიტ. სააგ.“) ორივე პალატამ დაადგინა, ფლოტს მხურვალე მადლობა გამოუცხადოს ისინი თანახმანი არიან, მხარი დაუჭირონ მთავრობის პროგრამას სამხედრო გადასახადების შესახებ. პარლამენტმა საჭიროდ დაინახა მხოლოდ ზოგიერთ ცვლილების შეტანა პროგრამაში, რის გამო შემოსავალი მომატებულ გადასახადებისა დაახლოვებით ერთის მილიონის გირვანქა სტერლინგით შემცირდება. ამასთან დადგენილ იქმნება, რომ მომატებულ გადასახადების შეკრების ვადა ომის გათავების შემდეგ ერთს წელს არ აღემატებოდეს, რის გამო მომატებულ გადასახადებიდან შემოსული ფული ახალის სესხის დასაფარავად ვერ დაიხარჯება.

ბლაგოვეშჩენსკი. წითელის ჯვრის ადგილობრივი გამგეობა შეუდგა ქალაქში სადგომების დამზადებას საავადმყოფოებისათვის, სადაც მოთავსდება 1200 ავადმყოფი და დაჭრილი.

პარიზი. ამბობენ, რუსეთის სამხედრო მისსია თვალყურს ადევნებს ჩინეთის ჯარს, რომელიც მანჯურიის საზღვარზე და აღმოსავლეთ მონგოლიაში დაბანაკებული. ამ ჯარში 20.000 კაცამდეა. ამ თვალყურის დგებით უნდათ გაიგონ, შეიძლება თუ არა იმედი იქონიონ, რომ ეს ჯარი ნეიტრალიტეტს დაიცავს.

მდინარე ლიაოხეს ჩასართავში ყინვა დაიძრა.

მოელიან, რომ ამ მოკლე ხანში იაპონელები ნიუ-ჩუანზე იერიშს მიიტანენ.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). პარლამენტის წევრს აკიამას, გაზეთის გამომცემელს, რომელიც მხნედ იბრძვის მთავრობის წინააღმდეგ, ჰბრალდება ღალატი და რუსეთთან დამოკიდებულება. საქმე პარლამენტის კომისიას გადაეცა.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). კორეის მთავრობამ გადასწყვიტა, გახსნას იონამპო ვაჭრობისათვის.

კოპენჰაგენი. პეტერბურგის პროფესორი მარტენსი იმ აზრისაა, რომ დანიამ თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ უნდა გამოაცხადოსო. ბევრი სახელმწიფო და განსაკუთრებით რუსეთი მიიღებენ იმის ნეიტრალიტეტს. ამგვარის მოქმედებით დანიას შეეძლება იმედი იქონიოს, რომ მეგობრები დაეხმარებიან, თუ ვინიცობაა ვინმემ იმისი ნეიტრალი მდგომარეობა დაარღვია.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

11 მარტი.

ლონდონი. ბროდრიკმა, როდესაც ტიბეტის შესახებ შეეკითხნენ, განაცხადა, საქმის მდგომარეობა იქ სრულებით არ შეცვლილა; ინგლისის მისსია, რომლის უმთავრესი საქმე კიანგტსემდე მისვლაა, მალე გზას გაუდგება; ჩინეთის მთავრობას, რომელსაც ყოველთვის ეცნობოდა ხოლმე ინგლისის მთავრობის ყოველივე განზრახვა, არას დროს არ მოუთხოვნია ინგლისის მისიის გაძევებაო.

ბერლინი. „კრეიც ცაიტუნგი“ ეხება უკანასკნელ ამბებს და დარწმუნებით ამბობს, რომ საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა შორეულ აღმოსავლეთის ომშიო. ინგლისის შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას, რუსეთისა და ინგლისის ერთ-ურთ საწინააღმდეგო ინტერესები მარტო აღმოსავლეთ აზიით რომ ისაზღვრებოდესო.

ადესა. დობროვოლნი ფლოტის გემი „ვორონეჟი“ მოვიდა შორეულ-აღმოსავლეთიდან. ამ გემით მოვიდნენ კობეში კონსულად ნამყოფი, ტოკიოში მყოფ რუსეთის საელჩოს დრაგომანი ვილმი, ნაგასაკში მყოფ რუსეთის მისიის მღვდელი, 26 ავადმყოფი ჯარის-კაცი, რომელნიც ნაგასაკის საავადმყოფოში იწვნენ. ამას გარდა თან მოიტანეს 500 ტონი ჩაი და 1000 ფუთამდე საქონელი.

ღამის დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მარტი

პეტერბურგი. დაჭრილ მეომართა დამხმარე ალექსანდრეს კომიტეტის კანცელარია საყოველთაოდ აცხადებს, რომ დაჭრილ მეომართა და იმათ ოჯახების საჭიროებისათვის კანცელარიაში შემოსულ ფულს განსაკუთრებით ანგარიშს გაუწევთო. ფული ინახება ხაზინაში; სიას ყოველ კვირას საჯაროდ გამოვაცხადებთ. შემოწირულ ფულით შეძენილ იქნება სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები. თანხა და პროცენტები დაიხარჯება თავის დანიშნულებისამებრ: შემწეობა მიეცემა დაჭრილ მეომართ, მოკლულთა ოჯახის წევრებს, ქვრივებს, ობლებს, მშობლებს, ძმებსა და დებს, თუ ისინი ომში მოკლულთაგან დახმარებას ღებულობდნენ; ყველას გარდა იმ შემწეობისა, რომელიც მათ მიცემათ არსებულის წესით საინვალიდო თანხიდან. ის თანხები, რომელთაც განსაზღვრული დანიშნულება აქვთ, განსაკუთრებულ ანგარიშში ჩაიწერება და დაიხარჯება იმ საქმეზე, რომელიც ნაჩვენები იქმნება შემომწირველის მიერ.—„პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სასახლის მინისტრის ბარონ ფრედერიკსის სახელობაზე. რესკრიპტით მინისტრს ევალება თვალ-ყური ადევნოს ხელმწიფე დედოფლის განკარგულებათა ასრულებას, რათა ომში მყოფ ჯარის კაცთა მძიმე პირობების შემსუბუქების საქმე წესიერად სწარმოებდეს.

ბერლინი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ სეულ-იჩეუს გზაზე კუშაობს სამი ათასი ჯარის კაცი რკინის გზის სამხედრო ბატალიონისა. იაპონიაში უკვე დამზადებულია და მალე გემებით გაიგზავნება ასი მილი რელსი ყველა თავის საჭირო მოწყობილობით; თუმცა მასალა ძვირია, მაგრამ ივარგებს პენიანამდე რკინის გზის ლიანდაგის მოსაწყობად.—იაპონელები ცდილობენ, იარაღი აჰყარონ 5,000 კორეიელ ჯარის კაცს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

11 მარტი

ირკუტსკი. გუშინ ბაიკალის ტბაზე გაათავეს მანჯურიის გზისათვის საჭირო ვაგონების გადაზიდვა.

შანჰაი. ფხიონიანსა და ანჩჟუს მიდამოებიდან კორეიელები მთებში მირბიან.—აქაურ ინგლისურ გაზეთის გამომცემელმა დაბეჭდა წერილი, რომლითაც იაპონელებს უსაყვედურებს ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევას და ურჩევს რუსეთის მთავრობას მოსთხოვოს ჩინეთს დაკმაყოფილება

სეული. მარკიზ იტომ ურჩია კორეის იმპერატორს, თავი დაანებოს ჯარის გაძლიერებას და რადიკალურ რეფორმების შემოღებას; ამის მაგიერად ურჩია იზრუნოს ხალხის განათლების გაძლიერებისათვის. იმპერატორმა სთხოვა იტოს დარჩეს კიდევ კორეაში, მაგრამ იტო 26 მარტს აპირებს წასვლას.

ლონდონი. იაპონიის გემი „რადომარო“ კაპშტადტიდან ზღვაში გავიდა. გემზე რამდენიმე ინგლისელი მეხანიკია, რომლებიც იაპონიამ მიიწვია დაზიანებულ სამხედრო გემების შესაკეთებლად. როგორც სჩანს, იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს უცხოელ კორესპონდენტების შემწეობით გაავრცელოს ისეთი ცნობები, რომლებიც იაპონიის მთავარ-შტაბისათვის არის სასურველი.

იაპონიის მთავარმა ჯარმა, რომელიც დამზადებულია მანჯურიაზე გასალაშქრებლად, უკვე თავი მოიყარა და მალე მდინარე ტუმენის შესართავიდან ხარბინისაკენ გაემართება; სხვა ჯარები კი მდინარე იალუსაკენ მიდიან.

სეულიდან ჩიონ-ჩჟუმდე აკეთებენ რკინის გზას.

ცინამპოში მდგომმა იაპონიის სამხედრო გემებმა ცნობა მიიღეს რუსეთის ფლოტი პორტ-არტურის ნავთ-სადგურიდან გავიდაო და თითონაც წავიდნენ ნავთ-სადგურიდან

იაპონიის ესკადრასთან შესაერთებლად.

იაპონელ მეზღვაურთა აზრით, პორტ-არტური ზღვიდან იმდენად გამაგრებულია ნაღმებით, რომ მიახლოვება დაღუპვა იქნება.

ტოკიოდან იტყობინებიან, რომ გაზეთ „ნიროკუშინშუშ"-ის გამომცემელს პარლამენტის წევრს აკაიამას რუსეთის მომხრეობა დაჰბრალდა; მისი გაზეთი დაიხურა და ყველა მისი წერილები პარლამენტს გადაეცა განსახილველად.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. 5 მარტს კრონშტატის სამხედრო ნავთ-სადგურის უფროსმა ვიცე-ადმირალმა ბირილევმა შუა ნავთ-სადგურში რუსის სამხედრო გემები: 1 რანგის კრეისერი „სვეტლანა", საესკადრო ჯავშნიანი გემები „იმპერატორი ალექსანდრე მე-III", „სისოი დიდი" და „ნავარინი" დაათვალიერა. ამ გემებს საზღვარ-გარედ გასაგზავნად ამზადებენ. შუა დღის შემდეგ ადმირალმა ბალტიის ფლოტის მეზღვაურებიც დაათვალიერა. („ბ. ვ.").

„დეილი მეილი"-ს კორესპონდენტი იუწყება ნიუ-ჩუანიდან: რუსებმა სამხედრო მოქმედების უმთავრეს ბაზად ხარბინი გაიხადეს. სამხრეთშიაც ლიაოიანი გაამაგრეს და უმთავრესს სამხედრო ბანაკად გადააქციეს. ლიაოანიდან რუსებმა აქეთ-იქით ყაზახთა პატარ-პატარა რაზმები გაგზავნეს და იმათის შემწეობით რუსის ჯარს ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე მდგარ ჯართანაც კავშირი აქვს და ფინხუანჩენსა და მდინარე იალუზე მყოფ ჯართანაც. ამბობენ, სადაც უნდა გადმოვიდნენ იაპონელები, ლიაოიანში შეკრებილი რუსის ჯარი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევსო. („ნ. ვ.").

„ტაიმს"-ს ატყობინებენ ვეი-ჰაი-ვეიდან: ცინამპოს ნავთ-სადგური (მდინარე ტადონგანის შესართავთან, პინიანს ახლო) იაპონიის სამხედრო და სატრანსპორტო გემებითაა სავსე. იაპონიის ჯარმა, ანჩჟუში მყოფმა, მდინარე ჩიონის ნაპირები დაიჭირა. ეს მდინარე კორეის სრუტეს ერთვის. პიანიანიდან ი-ჩჟუში მიმავალი გზაც ამ მდინარეზე გადადის. ამბობენ, იაპონელები მალე კორეის აღმოსავლეთ მხარეს ჯარს გადაიყვანენო. („რ. ვ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის აფიცრები მეტად წესიერად იქცევიან. როცა ჯარის-კაცებს კორეის სოფლებში აყენებენ, კარგად არიგებენ, თავდაჭერით და ზრდილობიანად მოექეცით ყველასაო, კორეელებსაცა და უცხოელებსაცაო. ვინც-კი რამე ცუდ საქმეს ჩაიდენს, სასტიკად დაისჯებაო. მართლაც იაპონიის ჯარი ისე კარგად იქცევა, რომ უკეთესად აღარ შეიძლება. (პ. ვ.").

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: 26 თებერვალს პორტ-არტურთან იაპონიის ნაღმიანი გემები რუსის ნაღმიან გემს „სტერეგუშჩის" გარს შემოეხვივნენ და ზედ გვერდზე მიადგნენ. რუსის მეზღვაურები მეტად ყოჩაღად იბრძოდნენ. ერთი იაპონელი მეზღვაური „სტერეგუშჩის" პალუბაზე გადახტა ვეფხვივით, გემის კაპიტანს დაეძგერა და თავში ხანჯალი დაჰკრა. კაპიტანი მაშინვე ზღვაში გადავარდა.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება: 26 თებერვალს პორტ-არტურში რუსებს ძლიერ გაუკვირდათ, რომ იაპონელები იმათ საკუთარ ყუმბარებს ისროდნენ. ეს ყუმბარები იაპონელებს რუსის გემ „მანჯურია"-ზე ჩაეგდოთ ხელში. ამბობენ, ამ გემზე 7 ათასი ტონა (ერთი ტონა—62 ფუთია) სამხედრო მასალა ჰქონდათ რუსებსაო („პ. ვ.").

„დეილ ექსპრესი"-ი იუწყება: ერთის ინგლისელ გემის კაპიტანმა გვიამბო, 26 თებერვალს პორტ-არტურს ვიყავი და იმ დღეს მომხდარი ბრძოლა ჩემის თვალით ვნახეო. რუსის ყუმბარები ჩემს გემს ახლო ეცემოდა და წყალში სქდებოდა. ისეთი საშინელი ამბავი იყო, რომ გვეგონა, ზღვა დუღსო („რ. ვ.").

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება: 26 თებერვალს ბრძოლის დროს იაპონელების 2 ყუმბარა ქალაქს დაეცა, ერთის ცნობილ ადვოკატის სახლს მოჰხვდა და სამი კაცი მოჰკლა. 1 ყუმბარა „რეტვიზანს" მოჰხვდა, ერთიც „ზოლოტაია გორის" ბატარეიას. ეს ყუმბარა რომ გასქდა, შავის ბოლის სვეტი ამოვარდა: ალბად, თოფის წამლის საწყობი ააფეთქა. რუსებმა „რეტვიზანი"-დანა და „ცესარევიჩ"-იდან ზარბაზნები გადაიტანეს და გოლუბინაია ბუხტაზე დააწყეს („პ. ვ.").

„ნოვოე ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ პორტ-არტურიდან: 26 თებერვალს ერთი ყუმბარა პორტ-არტურის ქუჩაზე დაეცა და გასქდა, ერთი ნატეხი ბარონ სტრანგვოლდეიჩის სახლის ფანჯარაში შევარდა და მისი მეუღლე მოჰკლა... ღამე აქ სანთელს არავინ ანთებს, ამიტომ პორტ-არტური საზარელი სანახავი ხდება. ყველგან დარაჯები დგანან, ყველგან ჯარის-კაცები დადიან და საეჭვო ხალხს იჭერენ.

„რეტვიზანი"-ს უფროსის 1 რანგის კაპიტნის შჩენნოვიჩის ცოლს პეტერბურგში პოლონურ გაზ. „კრაი"-ს თანამშრომლისათვის უამბნია: ჩემი ქმარი მწერს, 26 თებერვალს პორტ-არტურთან ისეთი საშინელი ზარბაზნის სროლა იყო, რომ მთლად დამაყრუვა, მასაქეთ ყურთ აღარა მესმის რაო. „რეტვიზან"-ზე ერთი დიდი ძაღლი გვყვანდა და ისიც კი დაყრუვდა, თუმცა ზარბაზნის სროლას შეჩვეული იყოო. („რ. ვ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ვითომ წარსულ კვირას რუსებს ნიუ-ჩუანში ამერიკის სავაჭრო საზოგადოების შენობები და საქონელი სამხედრო დავლად გამოეცხადებინოთ. კონსულებმა ნამესტნიკს ალექსეევს პროტესტი გამოუცხადეს ნეიტრალურ ქონების დაჭერის გამოო. („პ. ვ.").

იაპონელები დღემდე მუშაობენ და ჩაძირულ რუსის კრეისერს „ვარიაგის" ამოღებას ცდილობენ. („ნ. ვ.").

24 რუსის მეზღვაური, ჩემულპოსთან ბრძოლის დროს დაჭრილი, ამ ჟამად იაპონიის წითელ ჯვრის საავადმყოფოებში იმყოფება. ამათგან 8 კაცი მეტად მძიმედაა ავად. სამს ფეხები მოჰკვეთეს და ეხლა კიდევ ახალ ოპერაციის გაკეთება დასჭირდებათ. ერთს მეზღვაურს ყუმბარის წვრილი ნატეხები მოჰხვედრია და 165 ადგილას დაუჭრია. ეხლა ამ დაჭრილს რენტგენის სხივების შემწეობით ჰსინჯვენ, სხეულში რკინის ნატეხი ხომ არა აქვს დარჩენილიო („ნ. ვ.").

5 მარტამდე რუსეთის წითელ ჯვარს სულ 799,767 მან. შემოწირულობა მოჰსვლია, გასავალი კი 897,157 მან. ჰქონია. ასე რომ გასავალი შემოწირულებას აღემატება („რ. ვ.").

ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის ბრძანება. „რუსკი ინვალიდ"-ში ადმირალ ალექსეევის ბრძანებაა დაბეჭდილი. ბრძანებაში სწერია: „კვლავაც არა ერთხელ მიბრძანებია და ეხლა სამხედრო მოქმედების დაწყებისა გამო, ხელ-ახლავ ვსცემ ბრძანებას, რომ ჯარის-კაცებმა არ გაბედონ და ადგილობრივ მცხოვრებლებს (ჩინელებს) არა წაართვან რა, ან უდიერად არ მოექცნენ. ეხლავე ვაფრთხილებ ყველას, რომ დამნაშავეთ მეტად სასტიკად დავსჯი და იმათ უფროსებს კი უყურადღებობისათვის თანამდებობიდან გადავაყენებ. თუ ჯარის-კაც მშვიდობიან მცხოვრებთ უკანონოდ ექცევა ამით თავდაპირველად დისციპლინას არღვევ ეხლა კი სერიოზული დროა და რუსეთი სასახელოდა და სასარგებლოდ ყველანი და ვეცადნეთ, რომ ჩვენზე უფრო ძლიე მტერსა ვძლიოთ. ყველამ უნდა იცოდე რომ მტერს ვერა ვძლევთ, თუ ჩვენი ჯარი ღირსეულად არ მოიქცევა და დისციპლინა მტკიცედ არ დაიცავს. ამიტომ ყოველი უფროსი, ვინც თავის ხელქვეით ჯარში სასტიკ დისციპლინას არ დაიცავს, დიდ დანაშაულს ჩაიდენს ხელმწიფისა და სამშობლო წინაშე. ეს ბძანება ყველა როტასა, ესკადრონსა, ყაზახების რაზმსა, ბატარეებსა და გემების კომანდებს წაეკითხოს. ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი ევ. ალექსეევი".

ახალი ამბავი

◆ **სასულიერო უწყებას** გადაუწყვეტია, შეიმუშაოს ახალი წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ედევნოს თვალყური ყველა უწყების დაბალ და პირველ დაწყებით სკოლებში სამღვთო სჯულისა, საეკკლესიო სლავიანურ ენისა და სლავიანურ საეკკლესიო გალობის სწავლებას. საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, სამრევლო-საეკკლესიო ოლქის ზედამხედველმა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვა, გაუგზავნოს შემდეგი ცნობები: 1. რამდენი სასწავლებელია ტფილისში, რომელთაც ქალაქი თავის ხარჯით ინახავს, რამდენი მასწავლებელია ამ სკოლებში სამღვთო სჯულისა და გალობისა, რომელი მათგანი რომელ სკოლაში ასწავლის და რამდენს იღებს თითოეული გასამრჯელოს; 2. ვინ და როგორის წესით ირჩევს ქალაქის სკოლებისათვის სამღვთო სჯულისა, სლავიანურ საეკკლესიო ენისა და გალობის მასწავლებლებს და ვინ ამტკიცებს იმათ ამ თანა[illegible] შეს[illegible] ნაჩვენები კანონში; 3. არის თუ არა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიაში ხალხთ განათლების სამინისტროს წარმომადგენელი; 4. რომელ კანონის ძალით არ

ფელეტონი

იაპონია და იაპონელნი

IV

ახალი ხანა: ფეოდალიზმის დამხობა და რეფორმების შემოღება *)

როგორც ვწერდით, ახალგაზრდა იმპერატორი მუტსუ-კიტო ტახტზე ავიდა 1867 წელს, 3 თებერვალს. იმპერატორს ამ დროს გარს ეხვივნენ მდიდარი თავადები, სიოგუნის მტრები. ამათ გავლენით, მუტსუ-კიტომ იმავე წლის გასულს გამოსცა მანიფესტი სიოგუნის თანამდებობის გაუქმებისა და თავის უფლებების აღდგენის შესახებ. რა თქმა უნდა, სიოგუნი და იმისი მომხრენი ადვილად არ დაუთმობდნენ მიკადოს: მალე ასტყდა ომი მიკადოსა და სიოგუნის ჯარებს შორის. სიოგუნის ჯარი უფრო გაწვრთნილი იყო, მაგრამ იმპერატორს მეტი მეომარი ჰყავდა. ბრძოლამ ერთი წელიწადი გასტანა. როდესაც გამარჯვება იმპერატორს დარჩა, ერთად ერთი ადმირალი ენომოტო არ დაემორჩილა მიკადოს. ამ ადმირალის ესკადრაში ევროპიულად დამზადებული გემები იყო. მაგრამ ბოლოს ამ ადმირალმაც დაჰყარა ფარ-ხმალი. რადგან იგი დიდად ნიჭიერი, გამბედავი და მამაცი კაცი იყო, იმპერატორმა საზღვაო მინისტრად დანიშნა. შემდეგ ენომოტო ელჩად იყო პეტერბურგს.

ამ რიგად ბრძოლიდან გამარჯვებული იმპერატორი გამოვიდა. 1868 წლიდან იწყება როგორც ახალი ხანა იაპონიის ცხოვრებისა, ისე წელთა მრიცხველობა. ამავე წელს იმპერატორს დაუახლოვდნენ და მართვა-გამგეობის სათავეში მოჰყვნენ ის მომავალი რეფორმატორები, რომელთაც იაპონია განაახლეს. ესენი იყვნენ ივაკურა ტომომი, იტო ჰირობუმი (ეხლანდელი მარკიზ იტო), მორი არინორი, კიდო ტაკეიოში, ოკუბო ტოშიმიჩი და სხვანი. ბევრი ამათგანი დაბალ წოდებიდან იყო. ამათის რჩევით ახალგაზრდა იმპერატორმა თავი მიანება კიოტოს და კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას და ტოკიოში გადავიდა. ამბობენ, როდესაც იმპერატორი კიოტოს გალავნის ალაყაფის კარებს გავიდა (თითქმის მთელი რვა საუკუნე ასეთი ამბავი იაპონიაში არ მომხდარა), დიდძალი ხალხი გზაში დაჰხვდა და დაჩოქილი და ცრემლ-მორეული ეხვეწებოდა უკან, „წმინდა ქალაქში", დაბრუნებას.

ექვს მარტს, 1868 წელს ტოკიოში მოხდა ხალხის წარმომადგენლების პირველი კრება. წაკითხულ იქმნა დეკლარაცია იმპერატორისა, რომელიც ჰპირდებოდა ხალხს კონსტიტუციონურ და დემოკრატიულ მართვა-გამგეობას. ამ დღიდან დაიწყო მუშაობა რეფორმების განსახორციელებლად. „პირველ ხანს ამ მუშაობას მრავალი სიძნელე და დაბრკოლება გადაეღობა,—ამბობს ერთი მწერალი.—რეფორმები ახალი საქმე იყო, ხოლო იაპონელებს არც გამოცდილება მოეპოვებოდათ, არც ფული ჰქონდათ და არც სხვა რამე. მაგრამ „ახალი კაცები" არა სცხრებოდნენ და თუმცა რეფორმებს მრავალი ნაკლი აჩნდა, თავის საქმეს გულმოდგინედ განაგრძობდნენ, შეცდომებს ასწორებდნენ, ნაკლულევანებებს თავიდან იცილებდნენ და ბოლოს სრულ გამარჯვებას ეღირსნენ".

უპირველესი საქმე ცენტრალურ დაწესებულებათა შექმნა და სახელმწიფო საბჭოს დაარსება იყო. მაგრამ რეფორმატორები პირველშივე გაჭირვებაში ჩავარდნენ: არ მოეპოვებოდათ თითქმის არც ჯარი, არც ფული და არც გამოცდილი და დახელოვნებული მოხელენი. უფრო უფულობა იყო ძნელი. შემოსავალი ამ ახალ მთავრობას არსაიდანა ჰქონდა. ქვეყანა ფეოდალების ხელში იყო, გადასახადებს ისინი ჰკრებდნენ და იმპერატორს მხოლოდ მცირე ნაწილს აძლევდნენ. აშკარაა, უმთავრესად და უპირველესად სახელმწიფოს წინმსვლელობისათვის ფეოდალურ წყობილების გაუქმება იყო საჭირო. 1869 წელს იმპერატორმა მიიღო მოხსენება სამხრეთ და დასავლეთ პროვინციების ოთხის მთავრისა—სატსუმასი, ჩოშიუსი, ტოზასი და ხიზენისა. ეს მთავრები ატყობინებდნენ იმპერატორს: საჭიროდ ვცანით სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის დაუთმოთ იმპერატორს ჩვენი უფლებებიო. ამათ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს. ამ თავადებმა ხელი აიღეს არა მარტო უფლებებზე, არამედ მიწა-წყალსა და კოშკებ-სასახლეებზედაც. ბევრმა გადასცა ახალ მთავრობას თავისი სამხედრო გემები, თოფ-ზარბაზნები და სხვა. ასეთი პატრიოტული და სახელმწიფოსთვის სასარგებლო საქმე ფეოდალებმა რეფორმატორების გავლენით და ჩაგონებით ჩაიდინეს. ამ მოღვაწეებმა დაარწმუნეს ფეოდალები, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა მხოლოდ ამგვარ შეწირულებაზედ არის დამოკიდებულიო და იმათაც მალე შეიგნეს და შეისმინეს ესა.

მაგრამ ასეთი კეთილი საქმე ფეოდალების მხოლოდ მცირე ნაწილმა ჩაიდინა. ამიტომ 1871 წელს გამოვიდა იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალითაც მთელის იმპერიის ფეოდალებს ჩამოერთვათ უფლებანი და მიწა-წყალი. სახელმწიფო ადმინისტრატიულ ოლქებად, მუნიციპალიტეტებად დაიყო და ყველგან გუბერნატორები დაინიშნენ. გუბერნატორები ამიერიდან იმპერატორს და ცენტრალურ მთავრობას დაექვემდებარნენ და არა სიოგუნს და სამთავროების თავადებს, როგორც წინად იყო. წინანდელი მთავრები და თავადები ადგილებისა და უფლებების დაკარგვისათვის სხვა რიგად დააჯილდოვეს.

ამ რეფორმის ჟამს მთელის იაპონიის მიწა-წყალი 362 თავადის ხელში იყო. აქედან 18 თავადის საფეოდალო დიდ სამთავროებს წარმოადგენდა. სხვა თავადების სამფლობელოებიც პატარ-პატარა სამთავროები იყო, მაგრამ ის ძალა, სიმდიდრე და გავლენა არა ჰქონდათ, როგორიც პირველებს. 1871 წლის ბრძანების ძალით მიწა-ადგილი ამ თავადობას სრულიად ჩამოერთვა, სახელმწიფომ გამოისყიდა და მიკადოს, ე. ი. იმავე სახელმწიფოს საკუთრებად ჩაითვალა. ყველა მთავარსა და თავადს თავის საბრძანებელში ჰყავდა საკუთარი მოხელენი და ჯარი, ჰქონდა „სასამართლოები" და, ასე გასინჯეთ, საკუთარი ფულიც-კი. 1871 წლის ბრძანებით ყოველივე ეს მოისპო.

ფეოდალების ადგილების გამოსყიდვა ასე მოხდა. უპირველეს ყოვლისა ახალმა მთავრობამ ანგარიში გაუსწორა სამურაებს ანუ აზნაურებს, რომელნიც ფეოდალებს ახლდნენ და სამხედრო წოდებას შეადგენდნენ მთავრობამ ამ სამურაებს (600 ათასი) 11 მილიონი იენი (იენი იმ დროს მანეთს აღემატებოდა) მისცა. ამ ფულით იმათი მემკვიდრეობითი უფლებანი შეისყიდა და ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოიშორა. სამურაებმა მალე დაივიწყეს თავიანთი „კეთილშობილება" და ზოგმა ვაჭრობას მიჰყო ხელი, ზოგმა მეცნიერებას, ზოგმა მიწის მუშაობას, ზოგმა მოხელეობას, ზოგმა კი დევ სამხედრო სამსახურს. ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის სამურაებს ბევრი წარმომადგენელი ჰყავთ. ასეთია, მაგალითად, ამ ჟამად კორეაში რეფორმების შემოსაღებად გაგზავნილი გამოჩენილი მარკიზ იტო. იტომ პირველმა მიიღო იაპონიაში მარკიზის ტიტული. 1868 წლამდე იტო [illegible] რალო აზნაური და დაიმიოსის მხლებელი [illegible] უფრო ძვირად დაუჯდა მთავრობა [illegible] მოდ მოხსენებულ ფეოდალების უფლებე[illegible] და მამულების გამოსყიდვა. ამ მამულე[illegible] მიღებისათანავე მთავრობა შეუდგა იმათ ვა[illegible] ლების ლიკვიდაციას. ის ვალები, რომელ[illegible] ფეოდალების ხელში მამულებს დაედო 184[illegible] წლამდე, მთავრობამ გასტუმრებულად სცნ[illegible] და ანგარიშიდან გამორიცხა. 1844-დან 1867

---

*) იხ. „ცნობის ფურც." № 2435.

არის მიწვეული ამავე კომისიაში წარმომადგენელი სასულიერო უწყებისა და თუ ოდესმე ამ უწყებას აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ იმისი წარმომადგენელი მიეწვიათ კომისიაში, რითი გათავდა ეს საქმე.

◆ 10 მარტს ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელზედაც ექიმმა ბლიუმენტალმა წაიკითხა თავისი ლექცია **ჭლექთან ბრძოლის** შესახებ. დარბაზი მთლად გაჭედილი იყო ხალხით. როდესაც ბ-ნი ბლიუმენტალი შევიდა, სამკურნალო საზოგადოების თავმჯდომარე მოკლე სიტყვით მიეგება. ლექციის შინაარსს აღარ მოვიყვანთ, რადგან ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები უკვე გვქონდა დაბეჭდილი (№№ 2429 და 2430). ლექციის შემდეგ წაკითხულ იქნა მოხსენება განსაკუთრებულ კომისიისა, რომლის აზრითაც ჩვენშიაც დროა მოეწყოს ჭლექთან ბრძოლის საქმე. კომისია ჰფიქრობს, რომ ხალხში უნდა გავრცელდეს ცნობები ჭლექის შესახებ და გაიმართოს სანატორიები, ჯერ-ჯერობით-კი, კომისიის აზრით, ტფილისის ქალაქის გამგეობამ უნდა დააარსოს ქალაქის სამკურნალოსთან ჭლექიანებისათვის საამბულატორიო განყოფილება, ხოლო მომავალში — სანატორია ტფილისის მახლობლად საღ ადგილზე. ამას გარდა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ უნდა გამართოს ხელის მოწერა და შეკრებილ ფულით დააარსოს მთელის კავკასიისთვის სანატორია. კრებამ პრინციპიალურად მოიწონა კომისიის მოხსენება და დაავალა, ვრცლად შეიმუშაოს თავისი წინადადებანი.

◆ ჭლექის წინააღმდეგ გამოფენის კომისია 14 მარტს, დილით 9—12 იწვევს ტფილისის ყველა სავაჭრო და საქარხნო დაწესებულების დაბალ მოსამსახურეთა და მუშებს გამოფენის **დასათვალიერებლად** უფასოდ.

◆ **ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა** დღემდე ფასით დაუთვალიერებია 1400 კაცს.

◆ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მელიქიშვილი** მოსკოვს წავიდა სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა კრებაზე დასასწრებლად. კრება 16 მარტს მოხდება.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზისთვის **სატელეგრაფო სკოლა** მარტო ტფილისში არსებობდა. კურსი სამი თვე იყო და წელიწადში სამი რიგი მოსწავლეებისა ათავებდა. ეხლა ამგვარი სკოლები დაარსდა ბათუმსა, ფოთსა და განჯას. ბაქოშიაც აპირებენ. უწინაც და ეხლაც შიდა რუსეთიდან იწვევენ მოსწავლეთ. ამ მოსწავლეთ საგზაოთ 20 მან. ეძლევათ და სანამ სწავლობენ, თვეში თუმანი. როდესაც გაათავებენ სწავლას, მაშინვე ტელეგრაფისტობას აძლევენ და თვეში 25 მანეთს უნიშნავენ. აქაურ მცხოვრებთ არც საგზაოს აძლევენ და არც თუმანს უნიშნავენ და როდესაც ათავებენ, მხოლოთ ერთის წლის შემდეგ ენიშნებათ ჯამაგირი, ისიც ერთი თუმანი. ეხლა, რაკი ეს ახალი სკოლები დააარსეს, ამბობენ, ადგილობრივ მცხოვრებთ მეტი უფლება მიეცემათო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **სახელოსნოს** მომუშავეთ ნება არა აქვთ, რომ მამისათვის ითხოვონ სამგზავრო ბილეთი. ამის ნება მხოლოდ რკინის გზის მოხელეთ ეძლევათ.

◆ ტფილისის ქალაქის საყასბოში ამ ჟამად **თავისუფალია** ორი ბეითლის ადგილი.

◆ რედაქციამ მიიღო „**ძუნწი და ნატვრა**“, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი, შ. მღვიმელისა, გამოცემა მეორე. ეს საყმაწვილო წიგნი მეტად სუფთად არის გამოცემული, კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და დასურათებულია. ფასი წიგნაკისა ორი შაურია.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მოსამსახურეთა** დასასაჩუქრებლად გზათა სამინისტროს გადაუდვია 150,000 მანეთი.

◆ კავკასიის სამთო-საინჟინერო პირველ ოლქის უფროსმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, აცნობოს 1903 წელს რამდენი საჯარიმო ფული შემოუვიდა ქალაქს იმ ნავთის მიწებიდან, რომელსაც გამგეობა აწარმოებს.

◆ **ბათუმი.** 10 მარტს, დილის ათს საათსა და 40 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 21 შემოვიდა სადგურში, დაეჯახა უკანიდან მომავალი მეორე ორთქლმავალი. დაშავდა ორი ცისტერნის ვაგონი ნავთით სავსე და ორთქლმავალი.

◆ **აჯიქაბული.** 11 მარტს, დილის ექვს საათზე უკვე დაჭერილ ლიანდაგზე, სადაც სხვა მატარებელი იდგა, შეცდომით მესრემ მიიღო საგანგებო მატარებელი, რომლითაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟინერი ივანოვსკი მიდიოდა. ცოტათი ვაგონები დაშავდნენ.

◆ 5 მარტს საქაშეთსა და თვალათუბანს (გორის მაზრა) შუა ორმა ბოროტ-განმზრახველმა გაძარცვა ორი ცხინვალელი ებრაელი: მაიერა პაპისაშვილი და იაკოფა კრნისელი; პირველს წაართვეს 7 თამასუქი 590 მანათისა, მეორეს 105 მანეთი ნაღდი ფული. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ერთი ამ ბოროტ-განმზრახველთაგანი იყო სოფ. ზერტის (მეჯვრისხევის საბოქაულო) მცხოვრები აზნაური ა. ქარსიძე, ხოლო მეორეს ვინაობა ვერ აღმოაჩინეს.

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურცლის“ დამატების მე-200 №-ში მოთავსებულ ი. ევდოშვილის ლექსში შემდეგი შეცდომაა: ბოლო ტაეპის უკანასკნელ ბწკარში დაბეჭდილია: „ვით მსხვერპლი ზაკი გველეშაპისა“. უნდა იყოს: „ვით მსხვერპლი შავი გველეშაპისა“.

„ცნობის ფურცლის“ № 2434, ფელეტონში „კოლხიდა“ და მისი ეხლანდელი სამოქმედო ასპარეზი“, პირველ სვეტის მე-17 სტრიქონში ზევიდან დაბეჭდილია: წარსულის წლებით დაზარალებული „კოლხიდა“... უნდა იყოს: „წარსულის წლებით წახალისებული „კოლხიდა“.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 10 მარტს ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. კ. დ. ერისთავის თავმჯდომარეობით მოხდა თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ რუსეთის თავად-აზნაურობა შეერთდა და შეადგინა სათავად-აზნაურო ფონდი შორეულს აღმოსავლეთში დაჭრილ და დაავადმყოფებულ რუს მეომართა სასარგებლოდ; საჭიროა, ჩვენი თავად-აზნაურობაც შეუერთდეს რუსეთისას და მონაწილეობა მიიღოს ამ ფონდის შედგენაშიო. კრებამ შეუძლებლად სცნო იმ უმაღლესად ნაბოძებ ოცი ათასი მანეთი გადადება, რომელიც უნდა რგებოდა 1901 წელს. კრებამ ერთხმად დაადგინა: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შეუერთდეს რუსეთის შიდა გუბერნიებისას შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილთა და დაავადმყოფებულთა დახმარების საქმეში და სთხოვოს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს გადასდოს სათავად-აზნაურო ფონდის გასაძლიერებელ თანხიდან 5,000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს რუსეთ-იაპონიის ომში დაჭრილ და დაავადმყოფებულ რუს-მეომართ. ამით გათავდა მცირე-რიცხოვანი თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

◆ მას შემდეგ, რაც საგუბერნიო ხაზინა ახალს შენობაში გადავიდა, წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკში იყიდება დერბის მარკები და თამასუქის ქაღალდები.

◆ ქალაქის გამგეობამ მეორე ტეხნიკოსის ადგილზე მოიწვია ბ-ნი ფადდეევი, რომელსაც თვეში ხუთი თუმანი დაუნიშნა ჯამაგირად.

◆ როგორც გავიგეთ, ძმ. გოკიელოვების მაღაზიაზე თავდასხმის დროს ავაზაკთაგან ბერდანის ტყვით დაჭრილი ფულარიანის ცოლი სასიკვდილოთ არაა ავად.

ახალი პროექტი საგლეხო რეფორმისა ამიერ-კავკასიაში

თავის დროზე უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა დააარსა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა გადასინჯვა საგლეხო კანონმდებლობისა ტფილისისა, ქუთაისის, განჯის, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებისა. ამ კომისიის მუშაობის შესახებ დღემდე არავითარი ცნობა არ ყოფილა გაზეთებში, დღეს-კი ოფიციალურ გაზ. „კავკაზ“-ში ვკითხულობთ, რომ კომისიას მუშაობა 3 მარტს დაუმთავრებია, შეუდგენია ახალი პროექტი საგლეხო კანონმდებლობისა აღნიშნულ გუბერნიებისათვის, რომელიც უმაღლეს მთავრობას წარედგინება განსახილველადა და დასამტკიცებლად.

„კავკაზ“-ში პროექტი სრულად არ არის დაბეჭდილი, აღნიშნულია მხოლოდ უმთავრესი მუხლები, რომელნიც საკმაოდ ახასიათებენ განზრახულს ცვლილებას ჩვენებურ სოფლის წეს-წყობილებისას. როგორც მკითხველი დაინახავს, განზრახული ცვლილება არ არის იმდენად სრული, ყოველმხრივი და ძირითადი, როგორსაც საჭიროდ სთვლიდნენ რუსეთის სოფლისათვის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტები, პრესსა, ერობა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი.

ოფიციალურს გაზეთში ახალ რეფორმის შესახებ შემდეგია დაბეჭდილი:

„ახალ კანონების პროექტი შეეხება: 1) სასოფლო მმართველობასა და სასოფლო სასამართლოს ტფილისის, ქუთაისის, განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნიებში და 2) საგლეხო უფროსებს,*) სამაზრო კრებათ და საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოთ ხსენებულ ხუთ გუბერნიაში. ამასთანავე კომისიამ შე-

---

*) ვწერთ „საგლეხო“, თუმცა პროექტში სწერია „поселянскій“.

წლამდე აღებულ ვალების (10,972,725 იენის) გასტუმრება მთავრობამ იკისრა 50 წლის განმავლობაში, მაგრამ უპროცენტოდ. 1868-დან 1872 წლამდე აღებულ ვალისთვის (12,422,825) მთავრობამ გამოსცა სახელმწიფოს 4% ვალდებულების ქაღალდები, რომელიც უნდა გასტუმრებულიყო 25 წლის განმავლობაში. ამ გვარად გაუძლვა მთავრობა ფეოდალებს მამულებზე დარჩენილ ვალებს. თვით ფეოდალების ადგილ-მამულის დაკარგვისათვის დაენიშნათ მუდმივი პენსიები. 1877 წელს მთავრობამ ეს პენსიები გაათავნა და ფეოდალებს მისცა 173,221,895 იენის ვალდებულების ქაღალდები, რომელითაც ფეოდალებს შეეძლოთ მიეღოთ კუთვნილი ფული. მთელი ეს ვალი ხაზინამ გაისტუმრა 1893 წლამდე.

ამ რიგად გაათავა საქმე ხაზინამ ფეოდალებთან. ძალიან ძვირად დაუჯდა სახელმწიფოს ფეოდალებისაგან თავის დაღწევა, იმათ უფლებებისა და ადგილ-მამულების გამოსყიდვა. სულ ამ საქმეს მოუნდა 225,910,350 იენი და ისიც იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ახლად ეწყობოდა და ხაზინაში თითქმის არაფერი მოიპოვებოდა. სამაგიეროდ იაპონიამ ყოველივე ანგარიში გაასწორა ფეოდალიზმთან და დღეს იაპონიაში აღარც დაიმოსია, აღარც სამურაი და აღარც სხვა ჯურის „კეთილშობილი“. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ საფრანგეთის გარდა, სადაც 1789 წლის დიდმა რევოლიუციამ ერთის დაკვრით ბოლო მოუღო თავად-აზნაურთა [illegible] პრივილეგიებს, ყველგან ფეოდალიზმის აღმოფხვრას ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა. ასე მოხდა ინგლისში, ასევე მოხდა გერმანიაში. ბარონი ზიბოლდი, იაპონიის კარგი მცოდნე, დიდხანს იქ სამსახურში ნამყოფი და ავტორი წიგნისა იაპონიის შესახებ, სწერს: „ეს მოვლენა (ფეოდალიზმის აღმოფხვრა იაპონიაში) უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს იაპონიის ისტორიაში. ძნელად დასაჯერებელია ყველა ის, რაც მოხდა, იმდენად აოცებს იგი ადამიანს და აღემატება პეტრე დიდის მოქმედებებს, იოსებ მეორის რეფორმებს და თვით საფრანგეთის დიდ რევოლიუციასაც“.

მეორე დიდი საქმე ახალ მთავრობისა გლეხთა განთავისუფლება იყო. 1898 წლამდე გლეხს არც საკუთრება ჰქონდა და არც თავისუფალი იყო. იგი ფეოდალის მამულზე სცხოვრობდა, ათას გადასახადს იხდიდა და ათას სამსახურს ეწეოდა ფეოდალის სასარგებლოდ. 1868—74 წლების კანონებმა გლეხი სამუდამოდ გაანთავისუფლა მიწის პატრონის ხელისაგან და სრული და თავისუფალი ბატონი გახადა მიწა-წყლისა. ამასთან გლეხს არავითარი გამოსასყიდი ფული არ გადაუხდია. გლეხმა, წინანდელმა ყმამ, კანონის გამოცხადებისათანავე სამი უდიდესი უფლება შეიძინა: იგი უსასყიდლოდ, ფულის გადაუხდელად მიწა-ადგილის პატრონი შეიქნა, თავისუფალი მოქალაქე გახდა, თანასწორი ყველა სხვა მოქალაქისა, და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღო. წინანდელ უთვალავ გადასახადების ნაცვლად მთავრობამ შემოიღო საადგილ-მამულო გადასახადი.

გლეხთა განთავისუფლებას მოჰყვა სამინისტროების დაარსება, ადმინისტრაციის მოწყობა, შემოღება საყოველთაო სამხედრო ბეგრისა, სამაზრო, სამოქალაქო და სათემო თვით-მმართველობებისა, ახალ სასამართლოებისა, საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და სხვა. რადგან ამებზე შემდეგ ფელეტონებში გვექნება ლაპარაკი, ამიტომ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ თვალსაჩინო რეფორმები იაპონიაში პარლამენტის დაარსებით დასრულდა. 1890 წელს პირველი საპარლამენტო არჩევნები მოხდა. პარლამენტს უმთავრესად საკანონმდებლო საქმე აქვს ნაკისრი, მართვა-გამგეობის საქმე-კი ევროპიულად მოწყობილ სამინისტროების ხელშია (იაპონიის კონსტიტუციის შესახებ იხილე „ცნ. ფურც.“ № 2416, 1904 წლისა).

რეფორმების შემოღება ყველას არ დაუჯდა ჭკუაში. წინანდელ თავადთა შორის ბევრი იყო უკმაყოფილო. ესენი ძველ წყობილების განმტკიცებას, ევროპიელების განდევნას, თავიანთ უფლებების გაფართოვებას მოელოდნენ და ამის ნაცვლად-კი ახალ-ახალი რეფორმები იგემეს. უკმაყოფილება გაძლიერდა უფრო მაშინ, როდესაც „კეთილშობილთ“ ხაზინიდან მიღებული პენსიები და ფული ხელიდან გაუსხლტათ. ყველა ამის გამო 1874 წელს საგას პროვინციაში აჯანყება დაიწყო. მეამბოხეთ მეთაურობდა საიგო კიჩინოსუკე, წინანდელი მომხრე და სარდალი მიკადოსი, რომელმაც სიოგუნის ჯარი დაამარცხა. ამ საიგომ შეაგროვა 40 ათასი კაცი და მთავრობას ომი გამოუცხადა. ჯერეთ კიდევ სუსტმა მთავრობამ ძალ-ღონე მოიკრიბა, როგორც იყო 70 ათასი კაცი შეაგროვა და პირველ შეტაკებისათანავე დაამარცხა მტერი. თვით საიგო ამ ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა. ამით გათავდა აჯანყება. ეს უკანასკნელი ამოკვნესა იყო ფეოდალიზმისა.

იაპონია პირველ რეფორმებისათანავე გულით სცდილობდა ევროპის კონცერტის თანასწორ წევრად გახდომას. მაგრამ ამაყი ევროპა დიდხანს გეზად უყურებდა „აზიელს“. 1874 წელს იაპონია ბერნის კონვენციას შეუერთდა, 1878 წელს — სამსოფლიო საფოსტო კავშირს. დიდი ბრძოლა მოუხდა იაპონიას ეგრედ წოდებულ საკონსულო სასამართლოების გაუქმებისათვის. ევროპიელნი ასეთ სამართლოს აარსებენ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. ამ სასამართლოებში ირჩევა ადგილობრივ მკვიდრთა და ევროპიელ ქვეშევრდომთა საქმეები. ასეთი სასამართლოები დღემდე არსებობს ჩინეთსა და ოსმალეთშიაც კი. იაპონია ერთადერთი აღმოსავლეთის სახელმწიფოა, სადაც ამგვარი სასამართლო აღარ არსებობს. ხანგრძლივის ბრძოლისა და მიწერ-მოწერის შემდეგ 1899 წელს იაპონიამ დაიყოლია ევროპის სახელმწიფონი და ზემოხსენებული სასამართლოები მოასპობინა. დღეს იაპონიაში ყოველი საქმე ევროპიელთა შესახებ ადგილობრივ სასამართლოებში ირჩევა. ამ რიგად 1899 წელს იაპონიამ მოიპოვა ყველა ის უფლება, რომლითაც საერთაშორისო საქმეში ევროპის სახელმწიფონი არიან აღჭურვილნი.

ასე ბრწყინვალედ დამთავრდა მესამოცე წლებში დაწყებული რეფორმები. აი, ამ რეფორმების შესახებ რასა სწერს უკანასკნელ ნომერში ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ მიმომხილველი: „იაპონიისთვის მე-60 წლები ახალ ხანის ნამდვილი დასაწყისი იყო და არა მარტო ნათელი ეპიზოდი, რომელსაც შემდეგში, რეაქციის დროს, ყველა გულდაკოდილი შეჰყურებს. იაპონიის მთავრობა არ შედგა შუა გზაზე და უკან არ გაიქცა, როდესაც მცხოვრებთა შორის საოპოზიციო მოძრაობა დაიბადა. მთავრობა შეგნებით და მტკიცედ მიდიოდა წინ და ყურადღებას არ აქცევდა დროებით უკმაყოფილებას და უთანხმოებას, რადგან საქმე შეეხებოდა მთელ იაპონიის მომავალს და არა ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასის, ან სასახლისა თუ სხვა რომელისამე ჯგუფის ინტერესებსა და გრძნობებს. იაპონიამ არ გადაუხვია ერთხელვე არჩეულ გზას, სოცარის თანდათანობით შეუფარდა თავისი პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება თანამედროვე კულტურის პირობებსა და მოთხოვნილებებს და შედარებით მცირე ხანს დიდ წარმატებას ეღირსა. ამ წარმატების მნიშვნელობასა და სიდიადეს ის როლი გვიჩვენებს, რომელსაც დღეს აღმოსავლეთ აზიის კრიზისში იაპონია ასრულებს“.

ი. ა—ძე

(შემდეგი იქნება)

იმუშავა შტატები ამ ახალ დაწესებულებათა და მოხელეთა.

უმთავრესი ცვლილებანი, რომელიც განზრახული საგლეხო კანონებში, შემდეგია. ამიერ-კავკასიის სოფლის მართვა-გამგეობაში პირველად არსდება, ნაცვლად წინანდელ ერთად-ერთ ადმინისტრატიულ ნაწილისა—სოფლის საზოგადოებისა— ორი ადმინისტრატიული ნაწილი: ერთი, უმთავრესად ადმინისტრატიული,—ეგრედ წოდებული „ვოლოსტ“**), მეორე, უმთავრესად სამეურნეო,—სოფლის საზოგადოება. ვოლოსტი დააკმაყოფილებს სოფლის მცხოვრებთა საერთო საჭიროებათ, ესე იგი, სკოლის საქმის მოწყობას, სასამართლოს წარმოებას, ადმინისტრაციასთან დამოკიდებულების განწესრიგებას და სხვა. ვოლოსტი საკმაოდ დიდი ორგანიზაციაა და იმდენ კომლისაგან უნდა შესდგებოდეს (1500-მდე), რომ მის შესანახად გაწერილი ფული სამძიმო არ იყოს გლეხებისათვის. სოფლის საზოგადოება-კი, პროექტით, უნდა შესდგეს უმთავრესად ერთის სოფლისაგან; ამის დანიშნულება უნდა იქმნეს: თავისავე თაოსნობით, სხვა-და-სხვა ფორმალურ მოთხოვნილებათა აუსრულებლად გაარიგოს სამეზობლო, სოფლის სამეურნეო საქმეები (საზოგადო მიწით სარგებლობის საქმე, სოფლის გზის შეკეთება-გაყვანა, სოფლის გარეგანი კეთილმოწყობა და სხვა ამგვარი).

შემდეგი უმთავრესი ცვლილება ეხება სასამართლოს. ეს დაწესებული იქნება ვოლოსტთან; მისი უფლება გაფართოვებული იქნება, თუმცა არც იმდენად, რამდენადაც ფართოა შიდა რუსეთის ვოლოსტის სასამართლო იმ ადგილებში, სადაც საერობო უფროსთა ინსტიტუტია დაარსებული. სასოფლო (აწი სავოლოსტო) სასამართლოს უფლებათა გაფართოების საჭიროება გამოიწვია იმ მოსაზრებამ, რომ შუათანა შეძლების გლეხს შეეძლოს—ყოველ დღიური სამეზობლო, საოჯახო უბრალო საქმეები ადგილობრივ გადაწყვიტოს მახლობლად, იაფ და მისთვის გასაგებ სასამართლოში და იძულებული არ იყოს ყოველთვის მიჰმართოს უფრო ძვირს და მისთვის გაუგებარს (რუსულის ენის უცოდინარობის გამო) მომრიგებელ სასამართლოს. ამასთანავე გლეხთათვის არსდება სააპელაციო ინსტანცია—სამაზრო კრება, სადაც შეიძლება საქმეების გადატანა სავოლოსტო სასამართლოდან და სადაც ეს საქმეები ხელახლავ გაირჩევა არსებითად, რათა აღდგენილ იქმნას მართლმსაჯულება, თუ იგი დარღვეულ იქმნა ვოლოსტის სასამართლოში. გარდა ამისა, სამაზრო კრებას ნება ექნება გააუქმოს ვოლოსტის სასამართლოს **აშკარად უსამართლო დადგენილებანი**, თუნდაც ამ დადგენილებებზე საჩივარიც არ განეცხადებინოსთ დაინტერესებულ მხარეებს.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ახლად განზრახული თანამდებობა სპეციალ—საგლეხო უფროსისა. დღემდის ამ მხრით ამიერ-კავკასიის საგლეხო კანონმდებლობაში ერთიანი წესი არ ყოფილა: გლეხები ექვემდებარებოდნენ როგორც საგლეხო დაწესებულებათ, ისე საერთო პოლიციას. ეს ორი სხვა-და-სხვა გვარი მმართველობა ხშირად ერთნაირად არ უყურებდა საგლეხო საქმეებს, რაც მავნებელი იყო გლეხებისათვის ამიტომაც, თანახმად მთავარ-მართებლის წინადადებისა, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული თანამდებობა საგლეხო უფროსისა. ამას, პროექტის თანახმად, დაეკისრება ყველა ის მოვალეობანი, რომელნიც აქვთ მომრიგებელ შუამავლებს ყველა გლეხთა (სახელმწიფო და საბატონოთა) მიწათმფლობელობის მოწყობის საქმეში. შემდეგ, მათსავე მოვალეობას შეადგენს: რევიზია და თვალყურისგდება ყველა საგლეხო დაწესებულებებზე მის ნაწილში; სოფლისა და ვოლოსტის ყრილობათა დადგენილების კონტროლი; ამ ყრილობათა უკანონო ან მავნე დადგენილებათა განსაზღვრება სამაზრო კრებაში; დამტკიცება სოფლის და ვოლოსტის მოხელე პირთა, მათ შორის ვოლოსტის მამასახლისის, ვოლოსტის მოსამართლეთა და სხვა. მასვე დაევალება იზრუნოს გლეხთათვის და დაეხმაროს მათ კულტურისა და კეთილდღეობის განვითარების საქმეში. გარდა ამისა, საგლეხო უფროსის მოვალეობას შეადგენს—განიხილოს ვოლოსტის სასამართლოს კომპეტენციის ის საქმეები, რომელნიც აღიძრება გლეხთა და არა გლეხთა (თავადის, აზნაურის, სამღვდელო პირის, მოქალაქისა და სხვ.) შორის. ამ შემთხვევაში სამაზრო კრება ისეთივე საპოლიციო ინსტანცია იქნება საგლეხო უფროსის სამართლისათვის, როგორიც კოლოსტის სასამართლოსათვის.

სამაზრო კრებათა დაწესება შესცვლის საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოთა უფლებებს. ამ საკრებულოთაგან სამაზრო კრებათ გადაეცემათ ყველა ის საქმეები, რომელნიც შეეხებიან სოფლის დაწესებულებათა უახლოეს მართვა-გამგეობას (მაგალითად, სოფლის საზოგადოებისა და ვოლოსტის მოხელე პირთათვის ინსტრუქციების შედგენა, ამ პირთა პასუხის გებაში მიცემა, სოფლის თანხების დახარჯვაზე თვალყურისგდება და სხვა). საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოების ორგანიზაცია თითქმის უცვლელად დარჩა: მის მოვალეობას ამიერიდანაც შეადგენს განხილვა ყველა სამიწათმფლობელო საქმეებისა და ამიერიდანაც იგი იქნება საკასაციო ინსტანციად როგორც სასოფლო (აწი სავოლოსტო) სასამართლოსათვის, ისე ახლად განზრახულ საგლეხო უფროსის სამართალისათვის.

საინტერესოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ისიც, რომ საგლეხო უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა მოხდება თანახმად იმ წესებისა, რომელიც აღნიშნულია სამსახურის საერთო დებულებაში; კანდიდატებს საშუალო სასწავლებელი მაინც უნდა ჰქონდეს გათავებული, თუმცა, პირველი ხანებში, ამ თანამდებობაზე შეიძლება ისეთებიც დაინიშნონ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი არა აქვთ გათავებული, მაგრამ გამოცდილება აქვთ მოპოვებული ხანგრძლივის სამსახურით მომრიგებელ შუამავლის თანამდებობაში საგლეხო უფროსს პროექტით, 2200 მან. ჯამაგირი ექნება წლიურად და გარდა ამისა განსაზღვრული თანხა კანცელარიისათვის, შენობის დასაქირავებლად, მისვლა-მოსვლისათვის და სხვა.

სათავად-აზნაურო წარმომადგენლობა იქნება მხოლოდ საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში, რადგან მხოლოდ ამ დაწესებულებას ექვემდებარება საგლეხო მიწათ-მფლობელობის მოწყობა-მოწესრიგების საქმე“.

**) შიდა რუსეთში კიდევაც არსებობს.

კახელ მევენახეთა საზოგადოების „კახეთი“-ს საზოგადო კრება

(წერილი თელავიდან)

5 მარტს საზოგადოების ბიუროში დაიწყო კახელ მევენახეთა საზოგადო კრება. დაესწრო 36 წევრი და გამგეობის თავმჯდომარე თავ. ს. ვახვახიშვილი. კრების თავმჯდომარედ ერთხმად ამოირჩიეს თელავ-თიანეთის მაზრების წინამძღოლი თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. ვიდრე დანიშნულ საგნების განხილვას შეუდგებოდნენ, ნახევარ საათზე მეტი იბაასეს, გარეშე პირთ შეეძლოთ თუ არა კრებას დაესწრნენო. ზოგმა ითხოვა გარეშე პირთა გარდა კორესპონდენტებიც ნუ დარჩებიან დარბაზში: ცრუ ხმებს ავრცელებენ საზოგადოებაზეო. გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ს. ვახვახიშვილმა უპასუხა, ის არის ცუდი, როცა საქმე ნამდვილად არ იციან და ცუდსა ლაპარაკობენ, როცა დაესწრობიან, სწორედ გაიგებენ და სიმართლეს იტყვიანო. ზოგიერთებსაც უხერხულად მიაჩნიათ არა წევრთა დათხოვნა, აქამდის ესწრობოდა, ეხლა რაღა გვაქვს დასამალიო, ბ-ნმა ვერმიშევმა განაცხადა, მართალია მე წევრი არა ვარ, მაგრამ სამაგიეროთ ჩემი დაა ჩაწერილი, ვესწრობი, როგორც იმის ინტერესების დამცველი, მაშასადამე, სრული უფლება მაქვს ამაზედაო. თავ. ნ. აბაშიძემ მიუგო, წესდების ძალით, გარეშე პირთ არ შეუძლიანთ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღონ. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა, ნება ჰქონდეთ კრებაზე დასწრებისა გაზეთების წარმომადგენელთ და გარეშე პირთაო, მაგრამ ამ უკანასკნელთ ხმის უფლება არ მისცა. არა წევრთ ცალკე ადგილი დაიკავეს. წლიურ ანგარიშის განხილვამდე თავ. მ. ჩოლოყაშვილმა განაცხადა, ანგარიში ეხლა დაგვირიგდა, არა ვართ გაცნობილნი, ზოგს არც-კი წაგვიკითხავს, სახვალიოდ გადავდოთ იმისი განხილვაო. სხვებიც დასთანხმდნენ, მხოლოდ ისე გადაიკითხეს და ზოგიერთი მუხლები ახსნეს. თავ. ალ. ვახვახიშვილი: ეს რამდენიმე წელიწადია ანგარიშს კრების დღეს გვაბარებენ, ჩვენ-კი მუდამ წელს ვადგენთ და ოქმშიაც ვიტანთ, რომ ანგარიში ორის კვირის წინ მაინც დაგვირიგდეს; მგონი წელსაც ასე დავადგენთ, მაგრამ ანგარიში ისევ კრების დღეს დაგვირიგდება. გამგ. თავმჯდომარე ამას მომუშავე ხელთა ნაკლებულობას აწერს. ანგარიშის მოსმენის შემდეგ წაიკითხეს ორი განცხადება თავ. ზ. ჭავჭავაძისა წევრად მიუღებლობის შესახებ და თავ. გ. ყარალაშვილისა სხვა-და-სხვა შენიშვნებზე. თავ. ალ. ვახვახიშვილმა მოითხოვა, კრების ოქმები იმავე დღეს იწერებოდეს და არა კრებების გათავების მერე, მხოლოდ შემდეგ კრებაზე წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნასო. კრებამ მიიღო ეს შენიშვნა და გადაიდო მეორე დღის 10 საათისთვის.

დ—შვილი

(შემდეგი იქნება)

დაბა-სოფლები

საქაშეთი (ქართლი). ძნელია კაცმა სთქვას, რომელმა მტერმა უფრო ძალიან შეაწუხა ქვემო ქართლი—მოუსავლობამა თუ ავკაცობა-ძარცვა-გლეჯამ. რამდენისამე წლის მოუსავლობამ ძალიან შეავიწროვა ქვემო ქართლი, მაგრაქ ისე არ დაუღონებია და სასოწარკვეთილებამდე არ მიუყვანია, როგორც ძალ-და-ძალ ტაციობამ. ქვემო ქართლში მუდამ ყოფილა ქურდობა, მაგრამ ამ ბოლო დროს შესამჩნევად გახშირდა ქურდობა, დაწვა, ერთმანეთის შურის-ძიება და სხვა ბოროტ-მოქმედებანი. სამწუხარო ის არის, რომ ამ ბოროტ-მოქმედებამ მაშინ ამოჰყო თავი, როცა ხალხი მოუსავლობითაა დაზარალებული. რასაკვირველია, მოუსავლობისა და გაჭირვების შედეგი მუდამ ქურდ-ბაცაცობა და ავკაცობაა, ისე დღე არ გავა, გულ-ხელ-დაკრეფილი მომჩივანი არ გამოვიდეს, წუხელის ცხენი მომპარესო, ძარიდან სიმინდი, შუშა და ფიჩხი წაიღესო და სხვა. ეხლა-კი ნაღდს მიჰყვეს ხელი, მხოლოდ ღამღამით კი არა, ბნელში, არამედ დღისით—შუა დღისას, მერე ისეთ შარა გზაზე, სადაც ყოველთვის ხშირია მისვლა-მოსვლა და ხალხის მოძრაობა. 5 მარტს, როდესაც ცხინვალელი ებრაელები, იაკოფ კრიხელი და მეირა პაპისიმედოვი მიდიოდნენ ცხინვალში თავიანთ ცოლშვილთან, არ გაევლოთ სულ ნახევარ ვერსის მანძილი საქაშეთიდან, თვალათუბნის ბოლოს, ასე დილის 10 საათზე, ჩასაფრებოდა ორი უცნობი რაინდი, რომელთაც პირი ყაბალახებით ჰქონოდათ ახვეული. ორთავეს რევოლვერები მიუშვერიათ და დაუძახნიათ, ფეხი არ გადადგათ, თორემ აქვე გაგათავებთო. შემდეგ უბრძანებიათ, ფული და თამასუქები მოგვეცითო. ერთისთვის წაურთმევიათ თხუთმეტი შაური, მეორესთვის-კი ხუთი თუმანი (50 მ.) და თამასუქები 1500 მანეთისა. ჩაუგდიათ ყველა ეს ხელში და მოუკუცხლავთ, „ან-კი რა გვექნა, რომ არ შეგვესრულებინა იმათი ბრძანება: 1550 მანეთისათვის ჩვენის ცოლშვილის ცოდვაში როგორ ჩავმდგარიყავით? გავძალიანდებოდით, რას ვიზამდით უიარაღო კაცნი იმათთანაო?“ ამბობდნენ გულ-დაწყვეტით ებრაელნი. თვითონ ებრაელნი და რამდენიმე სხვა მდევარი გაჰყვნენ მათ უკან. იქვე ახლო, სოფელ რუისში ნახეს ის რაინდები, მაგრამ მალე თვალიდან დაჰკარგეს. ებრაელებმა გაძარცვის ამბავი გამოუცხადეს რუისის მამასახლისს. მამასახლისი დაჰპირდა, ჩემი ჩაფრებით დავსძებნიო, მაგრამ დღესაც ეძებენ.

შობის დღესასწაულამდის წლევანდელი თოვლი რა ფერისა იყო, აქ არასის უნახავს, მხოლოდ მერე დათოვა ცოტა, მაგრამ მასაც არ მისცა დიდი ხანი კარგმა დარმა. ჩვენკენ გაზაფხულდა. თბილი დღეები დაიჭირა და მუშაობა გახურდა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ს. ტიტ—ძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

სალონიკი. ალბანიაში კიდევ გაიგზავნა ორი ბატალიონი; მონასტირში მყოფმა სამმა ბატალიონმა ბრძანება მიიღო, მზად იყავით წასასვლელადაო.

კოპენჰაგენი. ინგლისის მეფე და დედოფალი აქ მოვლენ 17 მარტს.

პარიზი. სისხლის სამართლის პალატამ ჩვენება ჩამოართვა დრეიფუსის საქმის შესახებ პირველ მოწამეს, გენერალ კონზს.

პორტ მაგონი. გერმანიის იმპერატორი მოვიდა დილის 10 საათზე და საღამოს 5 საათზე წავიდა.

სტამბოლი. იპეკისა და პრიზრენის გუბერნატორებს ეცნობათ, რომ საკლავ საქონელზე ახლად შემოღებული ბაჟები გაუქმებულ იქმნათ. ამნაირად დაკმაყოფილებულ იქმნა ალბანელთა ყველა მოთხოვნილება. დიუმას კაზაში მაშველი ჯარი გაჰგზავნეს.

ლიუტიხი. იმ შეპყრობილ ანარქისტებს შორის, რომელთაც აფეთქება მოიწადინეს, ორი ფრანგია.

ბერლინი. მდინარე კროსის მიდამოებში დაწყებული აჯანყება ინგლისის სამფლობელოსაც ედება.

11 მარტი

პეტერბურგი. გვარდიის ცხენოსან არტილერიის მეორე დივიზიონის უფროსს, დიდ მთავარს სერგეი მიხეილის ძეს განსაკუთრებულ დამსახურებისათვის გენერალ მაიორობა ებოძა.

ირკუტსკი. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი პეტერბურგს 12 მარტს აპირებს წასვლას.

პრეტორია. შავი ჭირისაგან ერთი კაფრი გარდაიცვალა.

პარიზი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთსა და ინგლის შორის მოლაპარაკება ზოგიერთა სადავო საკითხების შესახებ მალე დასრულდებაო. როგორც ხმა არის, გადაწყდა საკითხები ნიუფაუნდლენდის და დასავლეთ აფრიკის სამფლობელოთა შესახებ. საფრანგეთი თანახმაა უარ-ჰყოს ზოგიერთი თავისი უფლება ეგვიპტეში, მაგრამ თხოულობს, რომ ინგლისიც არ შეეცილოს მაროკოში.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ინდოეთის სტატს-სეკრეტარის შეკითხვაზე ბროდრიკმა განაცხადა, რომ ტიბეტის ექსპედიცია მალე ისევ განაგრძობს გზას. იგი განძისზემდე უნდა მივიდეს, სადაც ჩინეთის კომისსარს შეხვდება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქართულ თეატრის დარბაზში, მარტის 14, კვირას, დილის 10 საათზე დანიშნულია **ტფილისის სამა-
ხი კასის წევრთა**

საზოგადო კრება

განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და მათ ნაცვლებისა. (2—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

LA SURPRISE

(საჩუქარი)

რეინის ოქრო

№ 4711

ახლანდელი მოდის

დუხები

შეუდარებელის, მშვენიერის

და **მაგარის სუნნელებისა**

ფერდ. მიულგენსისა

კელნი რეინზე

ისყიდება ყველა კარგ მაღაზიაში.

(ნ. 9—8)

«წიგ.გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
ივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ენთხი	1	—
რძე, მისივე	1	50

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დაბით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ, განეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозв. ценз. Тифлисъ 11 марта 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ამხ. ... (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.